№ 48
 პარასკევი, 1 მარტი 1896

1877—1896

ივერია

№ 48
პარასკევი, 1 მარტი 1896

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვ.	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომ ₾. —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

უოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გვამის ბელათის მონასტერში გადასვენება და დაკრძალვა დიდის თოვლებისა და უგზოობის გამო 10 მარტისათვის იქმნა გადადებული.

თაკად-აზნაურობის თეატრი
კვირას, 3 მარტს,
ქართული არტისტების ამხანაგობისაგან
წარმოდგენილი იქმნება
ე. ს. მესხის და ვ. აბაშიძის მონაწილეობით
პირველი გუზი
სამ-მოქ. კომ გადმოკ. გუნიას მიერ
II
ბაგრატ IV
მესამე მოქ. კ. მესხის დრამიდამ.
მონაწილეობას იღებენ: ე. ს. მესხისა, ჩერქეზიშვილისა. არლანისა, ჩხეიძისა და სხვ. ვ. აბაშიძე, გუნია, კანდელაკი, შათირიშვილი, მჭედლიშვილი, და სხ.
ახანაგობის გამგენი { ვ. აბაშიძე. კ. მესხი.
ადმინისტ. ვ. გუნია.

სასულიერო მთავრობის ნებართვით შესდგა კომიტეტი განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელზე **აკადემიაში სტიპენდიის** (ერთის ან ორის) **დაარსებისათვის კერძო შეწირულებათა საჭირო ფონდის შესაკრებლად.** კომიტეტი მოიწვევს ყოველთა, რომელთაც არა ხოლო სიტყვით, არამედ საქმითაც სურთ დაამტკიცონ,—რომ მათ გულში ცხოველ არს ხსოვნა და პატივისცემა ამ დაუვიწყარი მოძღვართმოძღვრისადმი, შემოიტანონ თავისი წვლილი ამ წმიდა საქმისათვის. შემოწირულებათა რაოდენობა შემომწირველთა სიითურთ გამოცხადებულ იქნება თავ-თავის დროზე ადგილობრივ გაზეთებში. შემოწირულებანი უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: კომიტეტის თავმჯდომარეს ქუთაისის სემინარიის რექტორს არხიმანდრიტს დიმიტრის.
თავმჯდომარის მაგიერ კომიტეტის წევრი დეკანოზი გ. ცაგარეიშვილი.

ახალი ამბავი

—

*** დღეს, 1-ლ მარტს, საქართველოს ეკლესიაში პანაშვიდი იქმნება გარდახდილი ღვთივმიერ განსვენებულის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე II-ის სულის მოსახსენებლად. დასაწყისი პანაშვიდისა 11 საათზეა.

*** ჩვენ მივიღეთ ივ. როსტომაშვილის გამოცემანი, წიგნი № 5 „ფუტკრის გონიერი მოვლა-მოშენება.“ არჩილ დარეჯანაშვილის-მიერ. ფასი გაგზავნით სამი შაური და წიგნი № 6 ოჯახისთვის „ლინჰარდი და გერტრუდა.“ მოთხრობა პესტალოციისა სურათით. ზ. ედილის-მიერ ნათარგმნი.. გაგზავნით ერთი აბაზი. პირველი წიგნი 30 გვერდს შეიცავს, ხოლო მეორე 46.

*** ამ დღეებში კრება ჰქონდა ხელოსანთა კომიტეტს და გარდასწყვიტა ააშენოს ტფილისში სახლი, რომელშიაც სამადლოდ უნდა აყვანილ იქმნენ უძლურნი და ღარიბნი ხელოსანნი. გარდა სამადლო თავშესაფარისა კომიტეტმა დაადგინა გახსნას აგრეთვე საავადმყოფო ყველა ხელოსანთათვის, რომელნიც-კი მოისურვებენ იქ დაწოლას. ხოლო რადგან კომიტეტს არა აქვს საამისო ადგილი, იგი სთხოვს ქალაქის მართველობას დაგვეხმარე ამ კეთილ საქმეში და შესაფერი მიწა დაგვითმე ქალაქის შუაგულში სადმეო.

*** კავკასიის სამეურნეო ეკონომიისა და სამეურნეო სტატისტიკის განყოფილება აუწყებს ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას, რომ სახელმწიფო სატარიფო დაწესებულებანი შესაძლებელად სცნობენ ფოთში გაგზავნილი სიმინდი, თუ რომ რკინის გზით წაიღებენ რიონიდამ სადგ. ფოთამდე და შეინახვენ იმ საწყობებში, რომლებიც სხვა-და-სხვა საქონლის გამზიდველთ ეკუთვნიან, გაანთავისუფლონ გარდასახადიდამ, რომელიც მათ ჰხდებათ სადგურ ფოთიდამ ნავთ-სადგურამდე სადგურების გარდასახადად, ფუთზე $^1/_5$ კაპ. და აგრეთვე სიმინდის გადმოცლა-დატვირთვაზე საჭირო ხარჯიდამაც, თუ რომ ეს ხარჯი საქონლის პატრონებს ექმნებათ დაკისრებული. ამითი აზრად აქვთ სიმინდის პატრონთ ხელი შეუწყონ, რომ საქონელი უფრო მეტი გადიოდეს გარედ. (კავკ. სამეურ. გაზ.)

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა შეატყობინა ქალაქის მოურავს, რომ ამ ბოლო დროს ჯარის კაცებს გამოაჩნდათ მუნი, რომელიც შეჰხვედრიათ მხოლოდ იმიტომ, რომ აბანოებს უსუფთაოდ ინახავენო, და ამის გამო სთხოვს განკარგულების მოხდენას მასზედ, რომ ქალაქის ექიმებმა დაიაროონ და გასინჯონ ყველა აბანოებიო. ქალაქის მოურავმა მიანდო აბანოების გასინჯვა და მუდმივი ყურის გდება სასანიტარო ინსპექტორის მოადგილეს.

*** დღეს, 1-ლ მარტს, სღამოს $7^1/_2$ საათზე კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების წევრთა მორიგი სხდომაა დანიშნული. სხდომაზე განხილულ იქმნება მიმდინარე საქმეები და სამეცნიერო მოხსენებანი: ნ. ვ. პარიისკისა: „ბუასილის წამლობა“ და ს. ს. ლიუბიმოვისა: «ფილტვების ანთების შესახებ.»

*** როგორც გაზეთები იუწყებიან სასულიერო უწყების სასწავლებლების წესდებების განხილვა ხელ-მეორედ არის დანიშნული.

*** გორის მაზრის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობის წესდების პროექტი სამეურნეო სამინისტროს წარეგზავნა დასამტკიცებლად. ამხანაგობას აზრადა აქვს ადგილობრივს მეურნეობასა და მრეწველობას ხელი შეუწყოს შემდეგის საშუალებით: 1) დაეხმაროს ადგილობრივ მემამულეთ სხვა-და-სხვა სახმარებელ ნაწარმოებთა და სამეურნეო მრეწველობისათვის საჭირო საგნების შეძენაში; 2) დაეხმაროს ადგილობრივ სოფლის მემამულეთ კარგ ფასად გაჰყიდონ მეურნეობის ნაწარმოები, შემუშავებული, თუ შეუმუშავებელი და აგრეთვე ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობის ნაწარმოები უკეთესად იქმნას შემუშავებული; 3) აძლიოს სესხად ფული იმ საქონელში, რომელიც ამხანაგობას გარდაეცემა საკომისიოდ გასასყიდად, აგრეთვე მისცეს სესხად ფული მიღებულ საქონლის დაკვალად და საქონლის პატრონთა მინდობილობით სხვა-და-სხვა საკრედიტო დაწესებულებიდამაც და 4) აღასრულოს სოფლის მემამულეთა ყოველ-გვარი მინდობილება, რომელიც-კი მათს მრეწველობას შეეხება. (კავკ. სამეურ. გაზ.).

*** როგორც გაზეთები იუწყებიან

ფელეტონი

პროფესორს ბატონს ალექსანდრე ცაგარელს *).

მადლობა ღმერთს!

ძლივს ველირსეთ პროფესორის ალექსანდრე ცაგარლისაგან სამშობლო ენაზე ხმის ამოღებას!

ოც-და-ხუთი წელიწადია მას შემდეგ გასული, რაც თქვენ პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ისტორიის და სიტყვიერების მეოხებით პარპაშებთ. ხოლო ამ გრძელ ხნის განმავლობაში თქვენ ქართულს ენაზე სიტყვაც არ დაგიწერიათ. მე დიდათ მიხარის, რომ ჩემმა წიგნმა თქვენს მეცნიერებით სავსე თავზე ისეთი გავლენა მოახდინა, ისეთი აღრევა, გულის წუხილიც-კი, რომ თქვენ მეცნიერმა კაცმა იკადრეთ ჩემისთანა კაცის წიგნის წაკითხვა და ქართულს ენაზე პასუხის დაწერა. კიდევ მადლობა ღმერთს!

ნათქვამია: „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, მე რომ ჩემი წიგნი არ დამებეჭდა, უამისოდ დარწმუნებული ვიყოთ, რომ თქვენ თქვენს ყვავილოვანს დროს ისე დაასრულებდით, რომ ქართულს ენაზე ერთხელაც არ ამოიღებდით ხმას, მაგრამ ახლა-კი გელირსათ ხმის ამოღება, რადგანაც ამ ხმის ამოღების საფუძვლად თქვენ ისე ჩემი წიგნი არ გედგათ თვალთწინ, როგორც ამას წინად „ივერია“-ში დაბეჭდილი წერილები, შესახებ პატივცემულის პროფესორის ვასილ პეტრიაშვილის სამეცნიერო შრომის 25 წლის დღესასწაულისა, რომლის დამწერიც სამართლიანად სწუხდა, რომ პატივცემულ პროფესორს ვასილ პეტრიაშვილს გარდა არც ერთი ქართველ პროფესორთაგანი თავის სამშობლო ენაზე არაფერს სწერსო. მე ვგრძნობ, რომ ამასაც უნდა ემოქმედნა თქვენს ხარისხოვნებით სავსე გულზე. გადავიდეთ საგანზე.

თქვენა ბრძანებთ, რომ რასაც ზ. ჭიჭინაძე განსვენებულის დიმიტრი ბაქრაძის პირით ლაპარაკობს, სულ ტყუილებიაო. ამას დ. ბაქრაძე არ იტყოდაო. ეს მის (ჩემი) მოგონილიაო.

ამაზე აბა რა მოგახსენოთ, ვისა ვკითხოთ საქმის სინამდვილე, რომ ან მე გავმტყუნდე და ან თქვენ, ან თქვენი წმინდა გული გამართლდეს და ან ჩემი მატყუარა სული. მოგეხსენებათ თქვენო ხარისხოვნებავ, რომ მე თქვენი პირადი ცნობა არა მაქვს, მე თქვენთან რამე საქმე არ მქონია ოდესმე, რომ მის მეოხებით რამე უკმაყოფილება მოგვხვდენოდა, ახლა მე მესარგებლა და 1891 წ. სამაგიერო გადამეხადნა. მე ამაეეს არ ვსაჭიროებ, მე თქვენთან არაფერი მტრობა მქონია, არც მაქვს, მიხსნას ღმერთმა ასეთს ჭამიაობისაგან.

მე გავიზარდე დიმიტრი ბაქრაძის მახლობლათ, ერთ დროს მე მის ისტორიულს წიგნებსაც ვბეჭდავდი, მე მასთან ხშირათ დავდიოდი ხოლმე, ეს ბევრმა იცის ჩვენში, თვით დიმიტრი ბაქრაძეც ხშირათ დაბძანდებოდა ხოლმე ჩვენს საწიგნობელში, თითქმის კვირაში ორჯელ სამჯერ. ჩვენ ხშირად გვქონია ხოლმე საუბარი ჩვენი ძველი და ახალი მწერლების შესახებ, ჩვენი მწერლობის შესახებ მე ხშირათ ბევრი რამ მიკითხავს დ. ბაქრაძისთვის, იგიც ხშირათ მიამბობდა ხოლმე სხვა-და-სხვა ცნობებს. მისგან ნაამბობის ცნობების უმეტეს ნაწილს მე ყოველთვის ვინიშნავდი. ბევრი დამიწერია კიდევაც. ერთხელ თქვენზე ჩამოვარდა სიტყვა. დ. ბაქრაძეს ვკითხე ზოგი ერთი რამ ცნობები თქვენს შესახებ და მან თავისი საზრი გადმომცა. ამას ქვემოთ მოგახსენებთ.

დიმიტრი ბაქრაძე რომ თქვენზე დიდათ უკმაყოფილო იყო ეს ჭეშმარიტება არის, ამის შესახებ აქედამვე შევუდგებით..

ბატონო ალექსანდრევ! თქვენ რომ მეგრული ენის შესახები გამოკვლევა დისერტაციათ წაიკითხეთ, ხომ გახსოვთ, 1880 წ. ცხრამეტს ოქტომერს. უეჭველია ისიც კარგად გეხსომებათ, რომ ამ დისერტაციის შეშესახებ იმავ წლის „დროება“-ში № 229 წერილი იყო დაბეჭდილი პეტერბურგიდამ. წერილის დამწერი სხვათა შორის სწერდა: „ცხრამეტ ოქტომბერს დიდი შესანიშნავი ამბავი მოხდა აქა, ამ დღეს დაგვებადა ერთი მსწავლული ქართული ენის დოქტორი, რომელმაც ამ დღესვე დაიცვა უნივერსიტეტში დოქტორის ხარისხის დისერტაცია. როგორც იქმნა ცაგარელი იცნეს ქართული ენის დოქტორათ, მაგრამ ბევრი მწარე წკეპლები კი მოხვდა, ასე რომ სხვა უმისო, მგონი, არც ამ გვარ წკეპლებს ისურვებდა და არც დოქტორის ხარისხს. საკვირველი ის არის კიდევ, რომ ცაგარელს მეგრულ სიტყვებში და გრამატიკაში ბევრი შეცდომები უმოუნეს ისეთ პირებმა, რომელთაც ქართული და მეგრული ერთგვარი ესმისთ სრულებით, თქვენი მტერი, რომ ესენი ქართველები ეოფილიყვნენ, მაშინ რა იქმნებოდა ცაგარლის საქმე“.

თქვენო ხარისხოვნებავ, უეჭველია ისიც კარგად გეხსომებათ, რომ პატკანოვმაც საშინელი ბრე აგადინათ და გაუწყათ შემდეგი: „თქვენ გიკვლიათ ქართული ისტორიისა და სიტყვიერების კათედრა, ამიტომ თქვენ ამ საგნის შესახებ უნდა დაგეწერათ რამე და არა მეგრული ენის, მეგრული ენა რა ენა არის, დამახინჯებული ქართული, მას რა გამოკვლევა უნდა, ან ჩვენ რა კეთით მეგრული ენის, რომ თქვენს შრომას ღირსება, ან ნაკლულევანება შეკამტნიოთ“. ასეთის შენიშვნების გამო ჩვენ დიდად შევწუხდით, აქა-იქ ლაპარაკი ატყდა. სწორედ ამ წერილის წაკითხვის დროს ჩვენ გვქონდა საუბარი დიმიტრი ბაქრაძესთან და მან დიდის გულის წყრომით მოგიხსენათ თქვენ და თქვენი შრომა, რაც „დროების“ 229 №-ში იყო აღწერილი ყველაფერი ჭეშმარიტებად დაინახა.

თქვენო ხარისხოვნებავ, ისიც კარგად გეხსომებათ, რომ იმავ „დროების“ ერთ წერილში მოყვანილი იყო ასეთი სიტყვებიც: „ცაგარელმა შეგვარცხვინა, მრავალნი ისე გახდნენ, რომ სირცხვილით კინაღამ ტირილი მოუვიდათ იმ დროს, როცა პატკანოვმა დაუწყო ცაგარელს პასუხის მიცემა“. აი სწორედ ამ შენიშვნის გამო გვქონდა დ. ბაქრაძესთან საუბარი და მან დიდი უსიამოვნება განაცხადა თქვენს შესახებ.

მე ერთი უბრალო მამაკვდავი არსება გახლავართ, თქვენის ხარისხოვნების მეტრფიალე, თქვენმა ნაწერებმა ჩემი გონება ისე ალიტაცა, ისე განისპეტაკა, ვითარცა ლუი ბლანის ნაწერებმა, ბოკლის და დრეპერის, ამიტომ უადგილოთ არაფერს გკადრებთ, ისევ პატივისცემით მოგეგებებით, რომ თქვენს ნაზ ხარისხოვნებას

*) ვბეჭდავთ ბ. ზ. ჭიჭინაძის პასუხს, რადგან დარწმუნებული ვართ თვით პატივცემული პროფესორი თანაუგრძნობს პრინციპს „Audiatur et altera pars“.

რედ.

სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გარდაუწყვეტია ტფილისის საგაბრეშუმო სადგური და საბალოსნო სკოლა საშუალო სამეურნეო სასწავლებლად გადააკეთოს. ამ აზრის შესასრულებლად სამინისტროს მიუნდვია თავისის რწმუნებულისათვის კავკასიაში გამოიანგარიშოს თუ ამ სასწავლებელს რამდენი დასჭირდება ფული ერთხანად და წლიურის ხარჯისათვის. სამინიტროს გარდაწყვეტილება შედეგია ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა და ტფილისის ქალაქის მმართველების თხოვნისა ამ საგნის შესახებ. სამინისტროს აზრით, ამ სასწავლებელს ბევრი ხარჯი აღარ დასჭირდება, რადგანაც ამ ჟამად საგაბრეშუმო სადგურის შენახვაზე სამინისტრო წლიურად 44 ათასს მანეთსა ჰხარჯავს. ამასთანავე სამეურნეო სამინისტრო სთხოვს კავკასიის უმაღლესს მთავრობას გამოიკვლიოს ქ. ტფილისი რა დახმარებას აღმოუჩენს ფულად, ან კავკასიის საერობო თანხიდამ რამდენი შეიძლება მოჰხმარდეს ამ საქმეს.

*** წლიურად სახელმწიფო ხაზინა კავკასიის მხარეში სასოფლო პირველ-დაწყებითს სასწავლებლებზე 20,000 მანეთსა ჰხარჯავს. ამ თანხიდამ 15,000 ქრისტიანეთა სასოფლო სასწავლებლებზე იხარჯება, ხოლო დანარჩენი 5,000 მანეთი იმ სასწავლებლებზე, რომლებიც მუსლიმანთათვის არის დაარსებული.

რადგანაც სკოლების მოთხოვნილება თანდათან უფრო იზრდება და ეს თანხა-კი ვერ აკმაყოფილებს საჭიროებას, ამიტომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს შუამდგომლობა აღუძრავს ხსენებულს თანხას 12,000 მანეთი კიდევ მიემატოსო, სწერს გაზ. „ნოვ. ობოზრ“.

*** შარშანდელის წლის „ივერიის“ 72-№-ში კორესპონდენცია

არა ეწყინოს რა.

უეჭველია გეხსომებათ, რომ ერთ დროს თქვენი ბრწყინვალე სახელი და ხარისხოვნება გაზეთ „შრომაშიაც“ ასწერეს, ჩვენ ეს აღწერა არ დაგვიწყებია. იქ იყო ნათქვამი, ცაგარელისაგან გარჩეული ქართული ენის მკვლარი გარჩევა დღესაც გასარჩევიაო.“ ჩვენ როცა ეს შენიშვნა წავიკითხეთ, ერთობ მოგვერიდა და გვეწყინა კიდეც. ამ შენიშვნის გამო გვქონდა დ. ბაქრაძესთან საუბარი და მან დიდი უკმაყოფილება განაცხადა, თქვენს შესახებ ყველაფერი ჭეშმარიტად სცნა, რაც „შრომაში“ იყო ნათქვამი. ბევრი რამ სთქვა მაშინ დ. ბაქრაძემ, მაგრამ ყველა ისინი მე კარგათ აღარ მახსოვს.

თქვენო ხარისხოვნებავ, უეჭველია კარგათ გეხსომებათ, როცა თქვენ მიერ რუსულათ ნათარგმნი საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუე“ რუსულს ენაზე 1879 წ. გაზეთ «ობზორში» გაარჩიეს, იქ თქვენს შრომაზე შენიშვნაც სთქვეს, ამ შენიშვნის გამო ჩვენ გვქონდა დიმიტრისთან ლაპარაკი და მან ბევრი რამ სთქვა თქვენზე, იგივე აღიარა რაც მას ჩვენთვის არა ერთხელ ეთქვა.

დასამტკიცებლათ იმას, რომ დ. ბაქრაძე თქვენზე გულის წყრომით იყო სავსე ამაზე კიდევ მოგახსენებთ ცოტას:

თქვენო ხარისხოვნებავ, უეჭველია კარგათ გეხსომებათ, რომ 1881 წ. გვქონდა დაბეჭდილი ლანჩხუთიდამ, რომ პუპი ტუღუშმა თავისი ქმარი დავით ტუღუში მოაკვლევინა საყვარელს სილ. ბარამიძესა, იმნაძესა, ბეს. ჯორბინაძეს და ასლან ბოლქვაძესაო. ეს საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს ჰქონდა გასარჩევად. სასამართლოს, როგორც თვითონვე გამოტეხილან დამნაშავენი, ასლან ბოლქვაძე და ბეს. იმნაძე მკვლელობად უცვნია და გაუნთავისუფლებია ჯორბინაძე, რომელზედაც უთქვამთ დამნაშავეთ, მკვლელობაში ეგ არ ერიაო. ხოლო ბრალდებულთათვის ყოველგვარ უფლების ჩამორთმევის შემდეგ მადნებში მუშაობა გარდაუწყვეტია: პუპი ტუღუშისათვის 15 წლით, სილოვან ბარამიძისათვის 20 წლით, ხოლო ასლან ბოლქვაძისა და ბეს. იმნაძისათვის ათის წლით.

27 თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა ეს საქმე და ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

*** ს. კავთიხევი: კვირას, 25 თებერვალს, სოფ. კავთისხევის სამრევლო ეკკლესიაში მღვდლის დავით ბარნაბოვის მიერ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სულის მოსახსენებლად.

*** სადგ. ბელაგორი: გუშინ, 29 თებერვალს, მე-149 ვერსზედ ხევიდამ წამოზვავებულმა მიწამ ბელაგორსა და მარელისს შუა ხიდი მთლად წაახდინა. პირდაპირი მიმოსვლა აღარ არის. ამ ადგილას მგზავრები ერთის მატარებლიდამ მეორეში გადასხდებიან, ვიდრე გააკეთებენ. სახალხო მატარებელი, რომელიც 12 საათზე უნდა ჩამოსულიყო, არ ჩამოსულა.

*** ჭიათურა: 29 თებერვალს, მე-32-ე ვერსზედ მიწისა და ქვის ზვავი ჩამოწვა.

ტფილისში არქეოლოგიური კრება გახლდათ. თქვენი ხარისხოვნებაც აქ ბრძანდებოდა, გეხსომებათ ისიც, რომ კრება ერთ დღეს ქუთაისისკენ გაემგზავრა, სადაც თქვენცა ბრძანდებოდით და დიმიტრი ბაქრაძეც. გეხსომებათ ისიც, რომ დ. ბაქრაძემ რკინის გზის ერთს სტანციაზე ფეხი იტკინა და ამიტომ იგი მალე დაბრუნდა ტფილისში, ავათ გახდა. ავათ მყოფობის დროს მე გახლდით მასთან, საუბარი გვქონდა ბევრს რამეზე და სხვათა შორის სიტყვა თქვენზეც ჩამოვარდა. აი რა სთქვა დ. ბაქრაძემ თქვენის ხარისხოვნების შესახებ.

„წარმოიდგინეთ, რა ქმნა ცაგარელმა: ჩვენ მიგვდით ამა და ამ სტანციაზე, იქიდამ უნდა წავსულიყავით ამა და ამ ქართული ნაშთების გასაშინჯავათ, მოსუტებული კოსტომარაკი და იღოვანსკი მაშინათვე წარმოიდგნენ ფეხით და ცაგარელი-კი სცადა წავიდა სასეირეთ, არ შერცხვა მას, რომ უცხო მოსუტებული კაცები ქართული ნაშთების გასაცნობათ წამოიდგნენ და ქართველი კაცი სხვაგან წავიდა სასეირეთ; მე ეს არ დამაკიწყდება, ეს არ მიეტევება მას“.

თქვენ, ხარისხოვნებას კარგად ეხსომება ის, სადაც მოხდა ეს ამბავი, რომელს სადგურზე და რა ნაშთების გასინჯვის დროს. მე ხომ არქეოლოგი არ ვიყავი, რომ იქ დავსწრებიყავ, მე ხომ მზვერავი არ ვიყავ, რომ თქვენის მოქმედებისათვის

შეცდომის გასწორება:

—

გუშინდელ ბ-ნ გველესიანის წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „დავიწყებული წოდება“ ორი შეცდომაა: ერთი ისაა, რომ ვითომც სათავად-აზნაურო სკოლა ექვემდებარება ბანკის კრებას და მეორე ისა, რომ ვითომც თავად-აზნაურთა გარდა სხვა წოდების შვილთ ადგილი არა აქვთ სათავადაზნაურო სკოლაში. საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ხსენებული სკოლა სულაც არ ექვემდებარება ბანკის კრებას, მხოლოდ ბანკის კრებისაგან ფულით შემწეობა ეძლევა და სხვა წოდების შვილთაც გზა აქვთ გახსნილი ხსენებულ სკოლაში სწავლისათვის, მხოლოდ პანსიონში-კი არ მიიღებიან და მოარულ მოსწავლედ-კი შესაძლებელია იყვნენ.

რედ.

კორესპონდენცია.

—

ს. შემოქმედი (გურია). წრეულს დიდი ზამთარი იყო; თოვლი უცბად მოვიდა. მცხოვრებლები ძლიერ შეეკვეწუნა, რადგანაც ასეთს დიდს ზამთარს არ მოველოდით; არ გვქონდა შეშა, ჩალა, საკმაოდ დაფქული და სხ. ბარუტეული თითქმის ნახევარზე მეტი დაგვეხარჯა ცალკე სიცივითა და ცალკე შიმშილით; ბევრს სახლები დაგვენგრა. უგზოობის გამო გარეთ ვერ გამოვდიოდით; მერმე გაკეთეს თოვლზედ სასიარულო და ისე დადიოდნენ. ბური და მეწადი რომ არა გვქონდა, მოსარშულს სიმინდსა ვჭამდით, რადგან წისქვილები არ მუშაობდა. შუა თებერვალში ცოტა დაიკლო თოვლმა, ისე რომ მისვლა-მოსვლა შესაძლო.

წარსულს წელს ს. დუბზეის მცხოვრებლებმა განაჩენი დადგინეს და უმაღლესს მთავრობას გუგზავნეს თხოვნა ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა იქმნას აქ გახსნილი, რადგან გამოცხადებული იყო, რომ ყოველივე ხარჯი სახელმწიფო იქნებაო. დუბზეის მცხოვრებლები დიდის სიამოვნებით მოელოდნენ სინოდის განკარგულებას. გაიდა ორი თვე და ამბავი მოვიდა, რომ უწმიდესმა სინოდმა გარდასწყვიტა ეს სკოლა შემოქმედის მონასტრის დარბაზში გახსნილიყო. საზოგადოებამ იმ წამსვე მღვდლის ანტონ ცეცხლაძის მეთაურობით თხოვნა გაგზავნა. როცა ეს გაიგეს ს. დუბზეის მცხოვრებლებმა სემინარიის სტუდენტის იონა ღლონტის თავგასნობით ხელმეორედ გაგზავნეს თხოვნა. ჯერ-ჯერობით არ ვიცით, რა-მელს დარჩება ეგ სკოლა. საუკეთესო ადგილი-კი შემოქმედი არის ჩვენის აზრით და შემოქმედის არხიმანდრიტი მამა იონაც დიდის ენერგიით შეუდგა საქმის აღსრულებას და საკმაო შეწირულებასაც ამზადებს.

ივლ. შემოქმედელი.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ).

„ნოვ. ობოზ.“ის გუშინდელ ნომერში დასტამბულ წერილიდამ ვტყობილობთ, რომ თავ. გ. მ. თუმანოვს, თავად-აზნაურობის მინდობილობით, გუშინ-წინ წარუდგენია ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლისათვის სამი წერილი ტფილისის გუბერნიაში ერობის დაწესებულებათა შემოღების შესახებ.

პირველ წერილში, გაზეთის სიტვვით, მოყვანილია საზოგადო მოსაზრებანი ტფილისის გუბერნიაში ერობის შემოღების საჭიროების შესახებ იმ სახით, რა სახით ეს დაწესებულება რუსეთის შიდა გუბერნიებში მოქმედობს. მეორე წერილში აღწერილია საერობო გარდასახადთა სისტემა ამიერ-კავკასიაში და რუსეთის შიდა გუბერნიებში. მესამე წერილის საგნად არის აღწერა საერობო გუბერნიებში მომქმედ დებულებისა და მოკლე განხილვა ერობის 30 წლის მოღვაწეობისა.

ეს წერილები უნდა განიხილოს საგანგებო კომისიამ, რომელიც შესდგება გუბერნიისა და მაზრების მარშლებიდამ, წერილების ავტორიდამ და აგრეთვე იმ კერძო პირთაგან, რომელთ მოწვევას საჭიროდ დაინახავს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი.

აუცილებლად საჭიროა, მალე შესდგეს ხსენებული კომისია და მალე განიხილოს ეს დიდი საგანი. ბ. მ. თუმანოვის მიერ შედგენილს წერილებს ჩვენ გავაცნობთ მკითხველთ ამ მოკლე დროში.

უცხოეთი

—

საფრანგეთი ამბობენ, რომ ადმინისტრაციაში ცვლილებას მოახდენს სამინისტროო. ეს ხმები გამართლდა. ცხრა პრეფექტი, რომელნიც ზომიერთა დასს ეკუთვნოდნენ დაითხოვეს სამსახურიდამ, მათ ადგილზედ ეხლანდელი სამინისტროს მომხრეები დანიშნეს. რადიკალი შოდენიე, ვარის დეპარტამენტის უწინდელი პრეფექტი, რომელიც სამსახურიდამ დათხოვნილი იყო, რატომ კლემანსოს ეხმარებოდი არჩევნების დროსაო, ეხლა იონიეს პრეფექტად დანიშნეს. რადიკალური გაზეთები ამბობენ, რომ ეს არა კმარა და კიდევ უფრო მეტი ცვლილებაა საჭიროო.

ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა მეზიურერმა, სანამ პარისიდამ წავიდოდა, სენატს აუხსნა სიტყვა, რომელიც შალონში წარმოსთქვა და რომელსაც კონსერვატიურმა ორგანოებმა „სოციალისტური სიტყვა“ უწოდა. მინისტრმა სთქვა, ჩემი სიტყვა ვერ გაიგეს კარგადაო. «მე ვსთქვი, რომ მთავრობა ეცდება დაამყაროს თანხმობა თავისი ქვეყნის შვილების შუა, რომ იგი არ დაიფარავს განსაკუთრებით არც ერთს წოდებას. მაგრამ არც ნებას მისცემს რომელიმე წოდებას, რომ მეორე დაჩაგროს“. სენატორებმა აღარ დააცალეს მინისტრს სიტყვის თქმა და მიაძახეს „გარკვეულად სთქვით თქვენი აზრი, რასა გავს ამგვარი სიტყვა!“ მეზიურერმა განაგრძო: „სოციალიზ-

---

ხსენება ისეთის ცნობილის მსწავლულის ისტორიკოსის, როგორიც დიმ. ბაქრაძეა. მისი უკმაყოფილება თქვენდამი მის ნაწერებშიაც ცხადად გამოიჟვრიტება, თუმცა დაფარვით და მორიდებით-კი.

დაგარწმუნებთ თქვენო ხარისხოვნებავ, რომ დ. ბაქრაძე ყოველთვის თქვენა გთვლიდათ მეგრული ენის და ანბანის აღორძინების მიზეზათ. თქვენ რა ძალა გადგათ, რომ თქვენს ეტიუდებში მეგრული ანბანის ზოგი ასოებიც მოათავსეთ, თქვენ ხომ ჩვენი ენათ მეცნიერი ბრძანდებით, ჩვენი მაქს მულერი, შლეიხერი, ხომ კარგად იცოდით, რომ სამეგრელოში ძველათვე იყო ქართულს ენაზე ანბანი გავრცელებული და ქართული ანბანი მათს ხმათა ბგერას უნაკლულოთაც ხატავს, თქვენ რატომ ამას არ მიაქციეთ ყურადღება, რატომ მთლად ქართული ანბანი არ იხმარეთ მეგრული სიტყვების დასაბეჭდათ. რაზე განიწვალეთ თავი და თქვენის განწვალებით რათ შეასხით ფრთები სამეგრელოს „ენათ მეცნიერებს“.

თქვენა ბრძანებთ, რომ „მთესველმა რა იცის, თუ მის დათესილს რამე ღვარძლი მოჰყვებაო“ ეს ვერაფერი საბუთი გახლავთ, ასეთის ბავშვურის საბუთებით თავის გამართლება თქვენისთანა მეცნიერს არ შეეფერება. შე დალოცვილო, სამას-ოთხასი წლის შემდეგ მოყოლებული დღევანდლამდე რა არ განიმარტა და არ გამოირკვია და თქვენ რა დაგემართათ, თქვენ იმას როგორ არ დააკვირდით, თუ თქვენგან დაწყებილ საქმეს რა შედეგი მოჰყვებოდა, მაშ რის მეცნიერი ხარ, რის პროფესორი, თუ ამ საქმის დავა-დარაბაც არ იცოდით, და მის მომავლის ვითარება. ბრძანებთ: — «ღვარძლიო» ჭეშმარიტათ, რომ ღვარძლი დათესეთ და ღვარძლივე ამოვიდა. ამას თქვენც კარგად გრძნობთ და ამიტომაც ბრძანებთ, რომ „რა ვიცოდი თუ ჩემს სამეცნიერო შრომას ასე გამოიყენებდნენო“. ამის შესახებ ბოდიშის მოხდა ეხლა ერთობ გვიან გახლავთ. ახლა აღარაფერი იქმნება, შემდეგში თქვენ ჩაითვლებით სამეგრელოს ახალს ფარნაოზათ.

ჩემ შესახებ თქვენი საყვედური უბრალოა, უსაფუძვლო, უკაცრავოთ, დაგარწმუნებთ, რომ დიმიტრი ბაქრაძე სულ თქვენ გდებდათ ბრალს მეგრული ენის აღორძინების საქმეში. რაც მე დავსწერე სულ მართალი გახლავსთ და ამას ამტკიცებს ერთი თქვენი სამეცნიერო შრომა, სადაც სულითა და გულით ჰგოდებთ, რომ მეგრელებს საეკკლესიო წიგნები არა აქვსთო და საჭიროა, ღმერთი თავიანთ ენაზე ადიდონო.

ზ. ჭიჭინაძე.

(დასასრული ხვალ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მომხრე ვართ, მაგრამ პრაქტიკულისა და გონიერის სოციალიზმის, ამ ნიადაგზედ ბრძოლა შეიძლება, მაგრამ ეს ბრძოლა არ იქმნება არც თავისუფლებისა და არც ერთობის მავნებელი.“ მემარცხენეთა დასი ტაშის ცემით მიეგება მინისტრის სიტყვას, ოპორტიუნისტები-კი ვერ დააკმაყოფილა ამ სიტყვამ.

ფინანსთა მინისტრმა დუმერმა სთქვა, საბიუჯეტო კომისიაში მთავრობა სრულიადაც არ არის იმის წინააღმდეგი, რომ მისგან წარდგენილი კანონ-პროექტი შემოსავალის კვალობაზედ დაწესებულის გარდასახადის შესახებ შესწორებული იქმნეს კომისიისაგან. ჩვენ დამარცხებულად არ ჩავსთვლით თავს, თუ შესცვლით რამდენიმე მუხლს კანონ-პროექტისას. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მთავარ-აზრს, პრინციპს ამ პროექტისასაო. ბოლოს მინისტრმა სთქვა, რომ სრული იმედი მაქვს, რომ პარლამენტი მოიწონებს ამ პროექტის პრინციპსაო.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. იტალიის ბედის ჩარხი, რაკი ერთხელ დატრიალდა უკუღმა, ახლა სულ უკუღმა ტრიალებს. გაზეთები „Corriere della sera და secolo“ იუწყებიან, რომ იტალიაში თავი იჩინა შინაურმა განხეთქილებამ. სიცილიაში გლეხ-კაცობა და გოგირდის მადნებში მუშები შფოთვენ. სამინისტროს ორგანოები, Riforma და „Tribuna“ უარ ჰყოფენ ამ ამბავს, გაზეთი „Secolo“-ს რომის კორესპონდენტის სიტყვით-კი მინისტრებს თათბირი ჰქონდათ ამ მეორე არეულობის შესახებ და დაუდგენიათ, აჯანყების თავიდან ასაცდენად ახალი ჯარები გაგზავნონ სიცილიაში. ამის შესახებ «indépendand belge“-ი იწერება: „იტალია არეულობისა და აჯანყების ხანაში იმყოფება, რაიცა შედეგია ყოველთვის შორი ქვეყნების დასაპყრობად გალაშქრებისა, ამისთანა განძრახვა ყოველთვის ძვირად უჯდება სახელმწიფოს და მის განსახორციელებლად მან მთელი თავისი ძალ-ღონე უნდა შემოიკრიბოს ხოლმე. ფინანსთა ანგარიშის დრო რომ მოაწევს, — იტალია ნათლად დაინახავს თავის საშინელ მდგომარეობას, თავის უილაჯობას. ეგებ ისევ დასჭირდეს იტალიას ხელმეორედ რენტის შემცირება, მაგრამ ეს საშუალება იტალიისათვის სიკვდილი იქნება, რადგან მის კრედიტს სამუდამოდ დაკარგავსო.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ და **ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ.** როგორც-კი შეიტყო იმპერატორმა ვილჰელმმა, რომ ბარატიერი დამარცხდაო, მაშინვე იტალიის საელჩოში მივიდა და 20 წამი დაჰყო იტალიის ელჩთან, გენერალ ლანცასთან. შემდეგ იმპეოატორმა ვრცელი დეპეშა გაუგზავნა მეფე ჰუმბერტოს.

ჟურნალ-გაზეთების უმეტესობას პირდაპირ მოჰყავს იტალიის ოფიციოზური დეპეშები ადუაში მომხდარის ბრძოლის შესახებ.

„კელნიშე ცეიტუნგ“-ი აღიარებს, რომ იტალიას დიდი მარცხი მოუვიდა, მაგრამ იმედია ასეთის გაჭირვების დროს იტალიელები მხარს აუხვევენ შინაურს განხეთქილებას, კარგად ასწონ-დასწონვენ თავიანთს დღევანდელს მდგომარეობას და ისეთს გზას დაადგებიან, რომ დღევანდელის უბედურებისაგან იხსნანო მხარე. იტალიელებმა სახეში უნდა იქონიონ ის, რომ, თუ ბრძოლას არ შესწყვეტენ, მაშინ იგი საახალშენო ექსპედიციას-კი არა, ნაციონალურს ბრძოლას ეგვანებაო. „ბერლინერ ტაგბლატტ“-ი ამბობს, რომ იტალიის ასეთი დამარცხება უთუოდ გერმანიაზედაც იქონიებს გავლენასაო. გერმანიას სწორედ რომ ავნებს სამხედრო პოლიტიკის დამოკიდებულებაში იტალიის დასუსტება, რადგანაც თუ რომ საფრანგეთთან ომი მოუხდა, იტალიის მტერზე უკან მიტევა ისეთს დიდს გავლენას ველარ იქონიებს უმთავრესს სამხედრო ოპერაციაზე, როგორც სამთა კავშირის შეკვრის დროს ფიქრობდნენო.

ᲐᲑᲐᲨᲔᲗᲘ (ᲐᲑᲘᲡᲡᲘᲜᲘᲐ).

II

ძველი ისტორია აბაშეთისა სიბნელით მოცულია. თუ სიბნელით მოცულია ისტორია ევროპიელი ხალხისა, რაღა უნდა იყოს სხვა ხალხის ისტორია? აბაშეთის ძველს ისტორიას ზღაპრული ხასიათი აქვს. ეს-კი ვიცით, რომ აბაშეთი ძველ განათლებულ ხალხთა შორის იყო. აბაშეთის ისტორიის მცოდნენი გვარწმუნებენ, რომ მისი ცივილიზაცია არ ჩამოუვარდებოდაო ეგვიპტის, ფინიკიის, ასსურეთის, ბაბილონის, მიდიისა და სპარსეთის ცივილიზაციასაო.

ნამდვილი ისტორიული ცნობები აბაშეთის შესახებ იწყება I-ი საუკუნიდამ ქრ. შემ. IV საუკუნეში აბაშეთში დამყარდა ქრისტიანობა და მალე შეიქმნა ძლიერი და დიდი საქრისტიანო სახელმწიფო. საშუალო საუკუნოებში ისლამიზმა ძალიან შეზღუდა და შეასუსტა ეს ძლიერი სახელმწიფო. კიდევ უარესი დაემართა აბაშეთს XVI საუკუნეში, როცა გალლას ხალხი თავს დაესხა და მოსრა ქრისტეს სარწმუნოების ამღიარებელი აბაშელები.

ევროპასთან აბაშეთის დამოკიდებულება იწყება საშუალო საუკუნოებიდამ. XV საუკუნეში აბაშეთი ესპანიას უფრო უახლოვდება. ესპანიამ დიდი შემწეობა მისცა მათ გალლას ხალხთან ბრძოლაში. შემდეგ ესპანელებმა და იეზუიტებმა იმდენი მოახერხეს, რომ აბაშეთის სამეფო ოჯახს კათოლიკეთა სარწმუნოება მიაღებინეს და ჰსურდათ აბაშეთის ძველი ეკკლესია შეეერთებინათ კათოლიკეთა ეკკლესიასთან. ამ პოლიტიკამ იეზუიტებისამ ხალხში აღელვება მოახდინა. მშვიდობიანობის დამყარება მოხერხდა მხოლოდ XVII საუკუნეში, როცა კათოლიკეთა მღვდლები განძევებულ იქმნა და ხალხის ძველი სარწმუნოება ხელ-უხლებლად დარჩა. XVIII საუკუნეში სხვა-და-სხვა ნაწილი აბაშეთისა სრულიად დამოუკიდებელი შეიქმნენ და ნეგუსი (ნეგუზა—ნაგასტი აბაშელების ენაზედ ნიშნავს მეფეთ-მეფეს, ამიტომაც ვეძახით იქაურ იმპერატორებს ნეგუსს) ფაქტიკურად სრულიად უძლური შეიქმნა. აბაშეთი დაიყო შემდეგ ნაწილებად: ტიგრე (ჩრდილოეთით) ამხარა (შუა აბაშეთისა) შოა (სამხრეთით).

ამ ნაწილებში რამდენიმე მმართველი იყო, რომელნიც ნიადაგ ერთმანერთს ეომებოდნენ. XIX საუკუნეში ტიგრეში განაგებდა მთავარ-მართებელი სუბიე, ამპარას ჩრდილოეთ მხარეს (გონდარას)—რას-ალი, ამხარას დასავლეთ მხარეს—კასა, ხოლო სამხრეთს (გოჯამს)—გუშუ. 1850-ში გუშუ და კასა ამხედრდენ რას-ალის წინააღმდეგ. შემდეგ გუშუ და რას-ალი შეერთდენ, მაგრამ კასამ გაიმარჯვა. ეს არ იკმარა კასამ და უბილეს წინაალმდეგ გაილაშქრა, დაამარცხა იგი და აღიარა თავი იმპერატორ თეოდორე II-ედ. ამავე დროს დაამშვიდა აჯანყებული შოა და დაიმორჩილა მცხოვრებნი ასე, რომ მალე ნეგუსი თეოდორე მთელი აბაშეთის მმართველი შეიქმნა. იგი სცდილობდა ქრისტეს სარწმუნოება განემტკიცებია და ისლამიზმი მოესპო, სცდილობდა ხალხის ცხოვრება გაეუმჯობესებია, ვაჭრობა და მრეწველობა განევითარებინა, და ერთი სიტყვით ევროპის ცივილიზაციას ეტანებოდა ამიტომაც მრავალი ცვლილება მოახდინა თავისს ქვეყანაში. უფრო დიდი ყურადღება მიაქცია ჯარების გაუმჯობესობას. მის მეფობაში აბაშეთს ჰყავდა 150000 მეომარი. ამათმა რჩენამ და სამხედრო ბეგარამ ძალიან შეაწუხა ხალხი, პროვინციები აჯანყდენ. თეოდორე II-ე საშინელის სისასტიკით ეპყრობოდა აჯანყებულთ. მისმა სასტიკმა ქცევამ მრავალი გაწყვიტა და ერი უკიდურესს მდგომარეობაში ჩააგდო. სამოციან წლებში უნდოდა ევროპის სახელმწიფოებთან კავშირი შეეკრა ეგვიპტის წინააღმდეგ, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. ინგლისმა ხმაც არ გასცა და საფრანგეთის იმპერატორმა თავის მინისტრს მიაწერინა ბარათი ნეგუსთან. ამ ბარათით იმპერატორი უარს უთვლიდა თეოდორეს. თეოდორე საშინლად გაჯავრდა, საფრანგეთისა და ინგლისის ელჩი საპყრობილეში ჩააგდო, ეგევე საქმე დამართა მისსიონერებსაც. მაშინ ინლისის მთავრობამ ჯარი გაგზავნა აბაშეთში და ნეგუსს ომი გამოუცხადა. ინგლისის ჯარების სარდლად ნეპირი იყო. 1868 წელში ნეპირმა დაამარცხა თეოდორე, რომელმაც დამბაჩით მოიკლა თავი. მისმა ცოლმა და შვილმა-კი ინგლისის მთავრობას მფარველობა მოსთხოვეს. ცოლი მალე მოკვდა ამის შემდეგ, ხოლო შვილი ნეპირმა წაიყვანა ინგლისში. აბაშეთიდამ გაიკრიბა მთლად ერთიანად ინგლისის ჯარი ისე, რომ ერთი კაციც არ დარჩენილა. ინგლისელების წასვლის შემდეგ სხვა-და-სხვა მმართველები აბაშეთისა კიდევ დაეტაკენ ერთმანეთს: ტიგრესი—კაზა, ამხარის (ლასტში) გაბაცე და მოასი—მენელიკი-კაზამ დაამარცხა გაბაცე, იკურთხა გვირგვინი აბაშეთის ძველ სატახტო ქალაქ აკსუმში (ჩრდილ) და სახელად დაირქვა იოანე. მას მოუხდა შეტაკება ეგვიპტელებთან. ეგვიპტელებმა მიჰმართეს თხოვნით მენელიკს მოგვეხმარე და იოანე დაგვამარცხებინე, მერე შენ დაგიმკვიდრებთ მთელს აბაშეთსაო. მაგრამ შოას მმართველმა მენელიკმა გამოიჩინა დიდი გამჭრიახობა, უარი უთხრა. არცთავი გაიბა მახეში და არც სამშობლოს ინტერესები შესწირა პირად თავ-მოყვარეობას. (ეს მენელიკია დღეს მეფე აბაშეთისა) იოანემ ორჯერ დაამარცხა ეგვიპტელები 1875-ში და 76-ში. ამის შემდეგ მენელიკიც დაემორჩილა იოანეს და მთელი აბაშეთის იმპერატორად აღიარა იგი.

რადგან ამ ხანებში ევროპის სახელმწიფოთა კოლონიის პოლიტიკა გაცხარებაში არის და ყოველი მათგანი, განსაკუთრებით ინგლისი, იძიებენ, ჟამსა მარჯვესა, რათა საუკეთესო ნავთ-სადგურები ხელში ჩაიგდონ, რასაკვირველია აბაშეთის საკუთარ ნავთ-სადგურებსაც მიაქციეს ყურადღება. მასსოვა (მეწამული ზღვის პირას საუკეთესო ნავთ-სადგურია) ხელში ჩაიგდო იტალიამ ინგლისის შემწეობით, ობოკი ეკუთვნის საფრანგეთს და ცეილა ინგლისს.

ასე, რომ საუკეთესო გზები ევროპისაკენ, ევროპის სამ სახელმწიფოთა ხელშია და აბაშეთი ჩამწყვდეულია და არსად გასასვლელი გზა არა აქვს. სამხრეთით ველური ხალხი ჰყავს, რომელთანაც არავითარი დამოკიდებულება არ შეიძლება და რომ შეიძლებოდეს არაფერ ხეირს არ დააყრის აბაშეთს. დასავლეთით და ჩრდალოეთით ეგვიპტესთან იყო შეეთებული, მაგრამ სუდანის ხშირი აჯანყების მიზეზით არც ეს არის დიდი საიმედო და სასარგებლო. ერთად-ერთი გზა ევროპისაკენ, მისი ცივილიზაციისა და კულტურისაკენ, აღმოსავლეთით აქვს—მეწამული ზღვა, მაგრამ მისი ნაპირები სხვის ხელშია. ყველაზედ უფრო საჭირო და დიდ მნიშვნელოვანი ნავთ სადგური მასსოვა იტალიელებმა ჩაიგდეს ხელში. მასსოვას იმიტომ აქვს მნიშვნელობა, რომ აქედამ მიდის ერთად-ერთი რიგიანი საქარავანო გზა აბაშეთისაკენ. უდაბური და ცხელი ადგილები ამ გზაზედ უფრო ცოტა არის (40—50 ვერსტი), რის გამოც ეს გზა ყველაზედ უკეთესია.

აბაშეთი ამიტომაც ყოველივე ღონეს ხმარობს, რომ ეს ნავთ სადგური ისევ დაიბრუნოს. აი რანაირად დაჰკარგა პირველად მან მასსოვა.

იმ დროს, როცა ინგლისმა პროტექტორატი მოიპოვა ეგვიპტეზედ, ეგვიპტის წინააღმდეგ აჯანყდა სუდანი. ამ აჯანყების თავში უდგა ახალი წინასწარმეტყველი მუსულმანთა მაჰდი, ხალხი გაფანატიკოსებული იყო და მათთან ბრძოლა საშინელი. ინგლისმა სთხოვა რას-ალულას-ტიგრეს მმართველს, სუდანელების დამარცხება. რას-ალულამ სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება, რადგანაც უიმისოდაც ჭირივით ეჯავრებოდა სუდანელები, მაგრამ სთხოვა ინგლისს, თუ დავამარცხო სუდანელები და ეგვიპტეს, მათგან აღებული, ციხე-სიმაგრეები დაუბრუნო, სხვათა შორის მასსოვა მომეციო. (მასსოვა მაშინ ეგვიპტეს ეკუთვნოდა), ამ თხოვნიდამ სჩანს, რომ აბაშელებმა ახალი ცხოვრების მნიშვნელობა გაიგეს, თვალები გაახილეს და მტკიცედ დაადგენ ახალს გზას. ინგლისმა აღუთქვა, მაგრამ როცა სუდანელები დაწყნარა რას-ალულამ და უნდოდა მოეთხოვა ინგლისისათვის პირობის აღსრულება, გაიგო რომ მასსოვაში იტალიელი ჯარი დამკვიდრებულა. ეს, რასაკვირველია, ინგლისის თანხმობით მოხდა. ამის შემდეგ აბაშეთს ინგლისისა და იტალიის ჯავრი სჭირს. ნეგუსმა იოანემ მასსოვა არ იცნო იტალიელების სამფლობელოდ და აზრად დაიდვა იმისი დაბრუნება. 1887 წელში, იანვარში აბაშეთის ჯარი, რომელსაც სარდლად რას-ალულა ჰყავდა, და რომელსაც 9 დღის სავალი გზის სიშორეზედ თვით ნეგუსი იოანე მისდევდა, გაემართა მასსოვასაკენ. აბაშელებმა დაამარცხეს იტალიელები, თუმც მათაც მრავალი კაცი დაჰკარგეს. იანვრის დამლევს იტალიიდამ გაგზავნეს ჯარები მასსოვაში. ეხლა-კი იტალიელებმა დაამარცხეს აბაშელები და ოფიციალურად განაცხადეს 1888 წ. ივლისში მასსოვა იტალიის სამფლობელოაო.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲛ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲓᲐᲛ

ამოკრებილი ამბები.

— რამდენად არის გავრცელებული წერა-კითხვა ევროპაში და ჩრდილო-ამერიკაში, ეს იქიდამ შეუტყვიათ, რომ ახლად მოწოდებულნი ჯარის-კაცნი ამ მხრით შეუმოწმებიათ ოფიციალურად და გამოსულა, რომ ათასს ჯარის-კაცზე მოდის წერა-კითხვის არა-მცოდნე: შვეიცარიაში—4, შვეიცარიაში—5, გერმანიაში—12, ნიდერლანდიაში—18, საფრანგეთში 123, ინგლისში 127, ბელგიაში 154, ავსტრიაში 388, იტალიაში 483, ისპანიაში 700, ჩრდილო-ამერიკაში 1890 წ. ანგარიშით ასს კაცზე მთელს შტატებში მოდის 13,3%, ამათ შორის თეთრნი 7,7% და სხვა ფერის კაცნი 56,8%. (ᲞᲐ. ᲘᲚ.)

— ამერიკაში მოუგონიათ ახალი გზა რკინისა ურელსოდ. ორთქლ-მავალი ურელსოდ დადის თურმე და ამისათვის არც მრუდე გზა, არც ოღრო-ჩოღრო, არც-კი ჯაგები და ხის ჯირკები დაბრკოლებას არ შეადგენს. ორთქლ-მავალი თურმე ისე მოხერხებულია და გამართული, რომ წინ გზასაც იმოდენად ასწორებს, რომ გადივლის და იმოდენად სწმენდს ჯაგისა და ჯირკებისაგან, რომ ამისთანა არა აბრკოლებს-რაო. სიპრტყე თვლების ფერსოსი თითქმის არშინია იმისათვის, რომ მიწაში არ ჩაიჭრას სიარულის დროს და მაღალი თვლები აქვს. ამ ორთქლ-მავალას სამი თვალი აქვს, როგორც სამ თვლიან ველოსიპედს. წინა თვალზე ხერხი აქვს მიმაგრებული და იგი ხერხი სჭრის და ხერხავს ყოველს, რაც გზას აბრკოლებს, მაგალითებრ, ჯაგს, ტოტს, ჯირკს და სხვას ამისთანას. ვაგონების მაგიერ ოთხ-თვლიანი ურმები (პოვოზკა) აქვს გამობმული და თუნდა ეტლსაც გამოაბმენ. წინ დიდი მორგვი აქვს თურმე ამ ორთქლ-მავალას და იგი ასწორებს გზას და სწმენდს, თუ საჭიროა. კალიფორნიაში ძალიან გახშირებულია ამისთანა ორთქლ-მავალის ხმარება. კარგი იქნება, რომ ჩვენში შემოღებულ იყოს ამისთანა სახეირო საქმე, ღმერთმანი, არ ეჭირება ჩვენისთანა უგზო-უკვლო ქვეყანას. (ᲞᲐ. ᲘᲚ.)

— ამ უკანასკნელ ხანებში ვარსკვლავთ-მრიცხველთა (ასტრონომებმა) დიდი ყურადღება მიაქციეს ვარსკვლავს მარეხს (მარსსა), როგორც ამას წინადაც ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს. ერთი ამ ასტრონომებთაგანი ფლამარიონი ამბობს, რომ „ვერ ვიტყვითო, ვითომც მარეხელებს სურვილი არა ჰქონდეთ როგორმე გამოგვველაპარაკონ და გამოგვემცნაურონ ჩვენ დედა-მიწელებსაო. აბა დაჰხედეთ იმ რუკას მარეხისას, რომელიც გამოაცხადა იტალიის ასტრონომმა და პროფესორმა მილანში სკიაპარელლიმო. თქვენ იქა ჰნახავთ გეომეტრიულ ფიგურებსა და იგი ფიგურები პირდაპირ გვაჩვენებენ, რომ რაღაც წინადვე მოფიქრებული განზრახვა უნდა იყოს ამ ფიგურების მოვლინებაშიო“... და შემდეგ უმატებს: „თუ მარეხელებს სურვილი აქვთ ჩვენ გვანიშნონ რამე, უსათუოდ ამისთანა ღონის-ძიებას უნდა ჩაჰკიდონ ხელიო“.

ფლამარიონი ჰფიქრობს, რომ ჩვენთვის უფრო ძნელია ვანიშნოთ რამე მარეხელებს, ვიდრე იმათთვის, რომ ჩვენ ნიშნები მოგვცენო. ეგ იმიტომ—რომ უკეთესს დროს, როცა ჩვენი დედა-მიწა დაუახლოვდება ხოლმე მარეხსა, დედა-მიწა ბნელია, მაშინ როდესაც მარეხი-კი სხვა დროზე უფრო განათებულია. მაინც და მაინც ჩვენ დედამიწელებს მოგვინდებოდა უშველებელი გეომეტრიული ფიგური გავმართოთ და ელექტრონით გავაბრწყინვალოთ, რომ მარეხელები ყურადღება მოვიქციოთო. ძალიან ძნელი ესა, მაგრამ შესაძლებელი-კია. ფლამარიონი მართალს ამბობს, რომ ამისათვის „საჭიროა მარტო რამდენიმე მილლიონი და ისა სჯობია ეს მილლიონები ამას მოვანდომოთ, ვიდრე კაზარმებზე ვფლანგოთო“.

ფლამარიონის აზრი შესახებ იმისა, რო შესაძლოა ჩვენ გამოვემცნაუროთ მარეხი

მცხოვრებთა, თითქო ჰმართლდება. ამ უკანასკნელ წლებში ასტრონომებმა არა ერთხელ შეჰნიშნეს მარეხზე რაღაც უცნაური გაშუქებულ-განათებული მოჩვენება. ამაში მეტად გულ-სწრაფნი სწავლულნი ჰხედვენ მარეხელების სურვილს გამოგვემცნაურონ ჩვენ აქაურებს. იგი მოჩვენება იმ სახისა არის, თითქო უშველებელ მანძილზე ერთი დიდი და ხანგრძლივი ცეცხლია მოკიდებული და ჩრდილოთა შუქ-ფენას (севѣрное сіяніе) ჰგავს თავისის ბრწყინვალებითა. ეს პირველად შეჰნიშნეს კალიფორნიაში ლიკის აბსერვატორიაში, რომელსაც ყველაზე უდიდესი ტელესკოპი აქვს მთელ ქვეყნიერობაზე. მას მერმედ შარშან იმისთანავე გაშუქებულ-განათებული მოჩვენება დაუნახავთ მარეხის დასავლეთ მხარეზე სამჯერ: 10-ს ივნისს, 2 და 3 ივლისსა, ერთსა და იმავე დროს კალიფორნიაში (ამერიკაში) და ნიცაში (ევროპაში). ეს მოჩვენება ისეთი აშკარა და ცხადი ყოფილა, რომ არას გზით არ მიეწერება თვალთა ცდომასაო, თუმცაკი საკმაოდ ვერ გამოურკვევიათ რა არის იგი მოჩვენება და რა მიზეზია მისი მოვლინება. ამიტომაც ფიცხის გონების კაცნი დაბეჯითებით ჰღაღადებენ, რომ იგი მოჩვენება უნდა მივიღოთ ნიშნებად, რომელსაც მარეხელები ჩვენ გვიგზავნიან გამოსაცნაურებლადაო.

ამერიკელებმა განიზრახეს თურმე შარშან მარეხელებს აქედამ პასუხი გასცენ ნიშნებითვე. უშველებელი მიწის გორები აღუმართავთ რამდენსამე ათეულს ვერსტის მანძილზე და ამ გორებზე აუნთიათ უზარ-მაზარი ცეცხლები. ეს ცეცხლები ისე მოურიგებიათ, რომ გამოსულა გეომეტრიული ამიცანა (კვადრატ ჰიპოტენუზი). იმ დროს ლიკის ობსერვატორიის ასტრონომებმა უშველებელ ტელესკოპით დაუწყეს თურმე ყურება მარეხსა და ვითომ მესამე ღამეს ცხადად დაინახეს, რომ იგი ამიცანა მარეხელებს გამოუცვნიათ და გამონაცანი უნიშნებიათ. ცხადია, რომ მარეხელები უარს არ არიან გამოგველაპარაკონ ჩვენ, დედამიწაზე მცხოვრებლებს. „სამწუხაროა ეს არისო, ამბობს ავტორი, რომლის წიგნიდამაც ეს ამბავი ამოვწერეთ, ამისთანა საყურადღებო ღონისძიება გამოლაპარაკებისა სხვას არავის გაუმეორებია, რადგანაც დიდი ფული ჯდებაო: ვინ იცის, იქნება ბევრი რამ სხვა, ჯერ ჩვენ მიერ უცნობი, შეგვეტყო და გაგვეგოო. ესეა თუ ისეო, ყოველ შემთხვევაში იგი აზრი, რომ შესაძლოა გაშუქებულ-განათებულ ნიშნებით მარეხელებს და აქაურ მცხოვრებელს შორის კავშირი რამ გაიბას, ზღაპრად არ უნდა ჩაითვალოს და ვინ იცის,—იქნება ახლოც იყოს ის დრო, რომ ეს აზრი განხორციელდესო“. (ᲗᲐᲘᲠᲝᲕᲘᲡᲐ ᲘᲚ.)

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

—

სასიამოვნოა სწორედ, რომ ძიძაი გამოთქვიზლდა, თავისს მეზობელ სოფლებს უკან არ ჩამორჩა, მათ გვერდში ამოუდგა და ერთად მათთან ითხოვა, სადაც ჯერ იყო, სახალხო ბიბლიოთეკის დაარსება. მთავრობისაგან ნებართვა მიეიღეთ ამ უკანასკნელის დაარსებაზე, მაგრამ ეს ახლად დაარსებული სახალხო ბიბლიოთეკა მეტად ღარიბია და კერ აკმაყოფილებს ძიძათის მკვიდრთა გაუმაძღარს სურვილს წიგნების კითხვისას.

ამიტომ უმორჩილესად ვსთხოვთ ყველა ამ ბატიებულ ბირთ, რომლებსაც გული შესტკივათ ჩვენის მრავალ გზათ დცემულ და ტანჯულ ერისათვის და ლტვიან ამ უკანასკნელის სწავლა-განათლების მხრივი წინმსვლელობას, არ დაიშურონ და მოგვწოდონ შეძლებისა დაგვარად თავისი წვლილი, ანუ წიგნები ბიბლიოთეკისათვის. კითხოვთ აგრეთვე ყველა ქართულ ურნალ გაზეთების რედაქციებს და წიგნების გამომცემელ ამხანაგობათა კეთილ ინებონ და არ დაიშურონ თავისი ბატიებულ გამოცემათა დაგვეთა ჩვენის ახალ მოზარდ და ღარიბ ბიბლიოთეკისათვისა.

წიგნები და აგრეთვე სხვა შემოწირულებაც გამოიგზავნება ამ ადრესით: Въ Ланчхуты: Дзимитской народной библіотекѣ.

ვლადიმერ დავითის ძე ლომაძე.

21 თებერვალი. 1896 წ.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

29 თებერვალი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. უმაღლესის ბრძანებით საპატიმროთა უმაღლესს გამგეობის უფროსს გელკინ-ვრასკის სახელმწიფო საბჭოს წევრობა ებოძა.

დაგვირგვინების დროს მოსკოვში მყოფ ჯარების უფროსობა დიდს მთავარს ვლადიმერ ალესანდრეს ძეს მიენდო.

ᲒᲔᲚᲡᲘᲜᲒᲤᲝᲠᲡᲘ. ფინლიანდიის მხატვართა სიზოგადოების 50 წლის შესრულების დღეს სტატს-სეკრეტარმა დენმა განაცხადა, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ხსენებული საზოგადოება თავისს მფარველობის ქვეშ მიიღოო.

ᲜᲘᲪᲪᲐ. 27 თებერვალს საფრანგეთის ესკადრა ზღვაში შევიდა. ჯავშნიანს გემზედ „ფორმიდაბლ“-ზე მემკვიდრე ცესარევიჩი იყო. ლეიხტენბურგის ჰერცოგის ხომალდი ესკადრას მისდევდა.

ᲡᲝᲤᲘᲐ. ოფიციოზური გაზ. „მირი“ ურჩევს ბულგარიას და სერბიას ერთმანეთში მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდეთ და დიდის ქებით იხსენიებს მეფე ალექსანდრესა და თავადს ფერდინანდს მათის ბრძნულის პოლიტიკისათვის.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ჯემსონი და სხვა ბრალდებულნი თავისუფლად დაიარებიან, რადგანაც სათავდებო ფული წარადგინეს.

ᲐᲡᲛᲐᲠᲐ. კვირას, საღამოთი, ნეგუსი ბანაკად ფარსმაიაში იდგა. ტყვედ წაყვანილნი იტალიელნი სოკოტაში გაგზავნეს ოფიცრებს გარდა, რომელნიც მენელიკის ბანაკში უნახავთ. მიწერ-მიწერა და მისვლა-მოსვლა კასსალაში კვალაო შესაძლებელია. არავითარს საყურადღებო ამბავს იქიდამ არ იუწყებიან. ადუაში მომხდარ ბრძოლის შემდეგ უვნებლად დაბრუნდა ასმარას 400 კაცი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

პირველი ევრმო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ბროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა. ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. მ. ბუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ბ. კარაბეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ბროტასევიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ბუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკევობით.

ა. ბ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. ბ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკ ნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (Წ.)

ᲙᲐᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ Ა. Ი. ᲝᲠᲑᲔᲚᲘ

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დან 2 საათამდე.

საღამოთი 4-დან 6 საათამდე.

ᲙᲕᲘᲠᲐ-ᲣᲥᲛᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—85).

ᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲓᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲬᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲠᲨᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘ.

ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა

ამ მიმდინარე დიდმარხვისათვის შეგიძლიანთ ინებოთ **ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲨᲘ ᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ:** შირბახტისა, სელისა და კანაფის ზეთი, აგრეთვე თახვის ყაირი (кастор. масло), სალამპრო და მოხარშული დასაფერად; გვაქვს აგრეთვე პირველის ღირსების **ᲡᲐᲠᲬᲘᲡ:** ტყვიისა და მარმარილოსი.

მსურველთ უნდა მოიკითხონ მხოლოდ: 1) კავკასიის სააფთიაქო ნივთების სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში და 2) საკუთარს სავაჭრო მაღაზიებში: ა) მიხეილის ქუჩა, სახლი ყარალოვისა ვორონცოვის ძეგლთან; ბ) იარმუკაზედ, ბულდანოვის სახლი; გ) თათრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა; დ) ავლაბრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა და მებურნოთოვის სახლში, ოლოლას ქუჩაზედ.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲐᲓ ᲧᲘᲓᲕᲐ შეიძლება ქარხანაში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარი სახლი. საკუთარს მაღაზიებში და ქარხანაში ისყიდება აგრეთვე საქონლის საკვები **ᲩᲔᲜᲩᲝ.**

(10—13—7).

ᲞᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲓᲣᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ“

ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲡᲙᲐᲒᲝ ᲔᲙᲖᲐᲠᲮᲐᲢᲐ

ᲘᲡᲔᲚᲔᲑᲐ ᲕᲬ ᲛᲬᲔᲚᲬᲘ

по прежней программѣ и выходитъ 2 раза въ мѣсяцъ 1-го и 15-го числъ. Цѣна въ годъ (съ пересылкою) 4 рубля. Подписка принимается при Тифлисской духовной семинаріи. (3—2)

ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲚᲝᲒᲘᲐ

ლიტურგია იოანე ოქროპირისა.

მღვდლისა და მღვდელ-მთავრისათვის, გამოცემა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, გადაღებული თ. ქორაძის მიერ. გადმოცემული: ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. სუნდაძისა და იოანეს ი. წერეთლისაგან. რამდენიმე საგალობელი გადმოცემულია მელქისედეკ გ. ნაკაშიძისა და მღვ. ნესტორ ე. კონტრაძისაგან.

ᲞᲐᲠᲢᲘᲢᲣᲠᲐ № 1.

წიგნი 174 გვერდია და ღირს ერთი მანეთი.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲮᲛᲔᲑᲘ: დამწყებისა, მაღალი ბანისა და ბანისა თვითოეული წიგნი 70 გვერდია და ღირს ორ-ორ აბაზად. ვინც სამივეს ერთად იყიდის, ერთ მანეთად დაეთმობა. წიგნები ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ქუთაისის ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და გამომცემელთა მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბაში, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

მ. ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐ და **ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲐ ᲜᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡ ᲡᲐᲫᲛᲔ.** საგანგებოდ ამისათვის რუსეთიდამ ასოებია გამოწერილი და იმგვარადვე იბეჭდება, როგორც ჩვეულებრივი წიგნი. ნოტების ბეჭდვა შეიძლება ცალკე წიგნად და აგრეთვე სხვა ჩვეულებრივ წიგნთან ერთად შიგ ჩართვით.

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ნაჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ველარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ. (40—28)

ᲜᲐᲡᲢᲝᲚᲬᲘᲡ

ᲔᲜᲪᲘᲚᲝᲠᲔᲓᲘᲩᲔᲡᲙᲘᲡ ᲡᲚᲝᲕᲐᲠᲘ,

изд. Т-ва А. ГРАНТЪ и К°,

ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲗ.

Все изданіе составляетъ 8 томовъ.

Цѣна тому въ переплетѣ на обыкновенной бумагѣ 5 руб., на лучшей 6 рублей

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ 1 ᲛᲐᲠᲢᲐ 1896 ᲬᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ.

Проспекты съ отзывами печати и выдержками изъ текста высылаются безплатно.

Главная контора: Москва, Большая никитская, д. Рихтеръ, рядомъ съ университетомъ. (3—3).

Дозволено цензурою, Тифлисъ 29-го Февраля 1896 г. ᲡᲢᲐᲛᲑᲐ Მ. ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲘᲡ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ.